

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 17

ქ.ვანი თავისუფლების N65

16 ნოემბერი 2018 წელი

11 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგბერიძე, დავით ხარბეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადვიშვილი, სანდრო ხურციძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე**.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგბერიძე**. (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში, არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების (619 ერთეული გარე განათების კონსტრუქციის) დანართი N1 შესაბამისად, შპს „მაგთიკომი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, სასყიდლით, პირობითი გადაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხს: /ზვიად კაპანაძე/

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში, არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების (619 ერთეული გარე განათების კონსტრუქციის) დანართი N1 შესაბამისად, შპს „მაგთიკომი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, სასყიდლით, პირობითი გადაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ და განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვულობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტებისა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებოს საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის მე-4 პინქტების და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამეტის 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებით დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამეტის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ქ.ვანში, არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების(619 ერთეული გარე განათების კონსტრუქციები), დანართი N1 პირობით გადაცემაზე.

2. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს .ვანში, არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების (169 ერთეული გარე განათების კონსტრუქციები), დანართი N1 შესაბამისად, შპს „მაგთიკომი“-სთვის იჯარათ, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემისა და განისაზღვროს შემდეგი:

2.1 პირობად, -ოპტიკურ -ბოჭკოვანი კაბელის განთავსება;

2.2 ქირის წლიურ ოდენობად, - 1238 (ათას ორას ოცდათვრამეტი) ლარი;

2.3 განკარგვის წესი, -პირდაპირი;

2.4 სარგებლობის ფორმა, -იჯარით;

2.5 სარგებლობის ვადა, -10 წელი;

სულ შ.პ.ს „მაგთიკომი“-სთვის გასაცემი, ქ. ვანში მდებარე, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაზოვანი ნაგებობებით ისარგებლებს 25 ქუჩა, აღნიშნული ქუჩების ჩამონათვალი დანართის სახით თან ერთვის.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში, არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების (619 ერთეული გარე განათების კონსტრუქციის) დანართი N1 შესაბამისად, შპს „მაგთიკომი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, სასყიდლით, პირობითი გადაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგობერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე